ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 09

(კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურებები)

ქ. თბილისი

01 თებერვალი 2013 წ.

სსიპ ----ქალაქ თბილისის №62 საჯარო სკოლის დასახელება ----
---------- საჯარო სკოლა, (შემდგომში ,,დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ----დავითა ალავიძე----
---------- გვარი და სახელი სახით ერთის მხრივ და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების მართვის საინფორმაციო სიტემა (შემდგომში ,,შემსრულებელი"), წარმოდგენილი ფინანსური და მატერიულური რესურსების სამსახურის უფროსის, თამარ კუბიაშვილის სახით მეორეს მხრივ, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 იანვრის №19/ნ ბრძანების პირველი მუხლის 1.9 პუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი
წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 31 და მეტ პერსონალურ კომპიუტერზე მომსახურების გაწევა (კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურებები - CPV: 72500000).

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი
1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 4180 (ოთხი ათას ასოთხმოცი) ლარს.
2. ხელშეკრულებით განსაზღვრული კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის ღირებულება თვეში შეადგენს 380 (სამასოთხმოცი) ლარს.
3. მომსახურების გაწევა დასტურდება შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.
4. დამკვეთი ვალდებულია შემსრულებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება გადაუხადოს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ყოველი საანგარიშო თვის 28 (ოცდარვა) რიცხვამდე, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედება
წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 01 თებერვლიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები
<u>1. დამკვეთი ვალდებულია:</u>
1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები შემსრულებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;
1.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით·აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;
1.3. მოსთხოვოს შემსრულებელს მისი კომპეტენციის ფარგლებში არსებული მოქმედების შესრულება ცხელ ხაზზე (+995 577 66 35 65) შეტყობინების დატოვების გზით.
1.4. შემსრულებლის/დამკვეთი მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობლობისა ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს შემსრულებელს აღნიშნულის შესახებ.
<u>2. შემსრულებელი ვალდებულია:</u>
2.1. დაწესებულების ლოკალური/გლობალური კომპიუტერული ქსელის გამართვა და ფუნქციონირების ხელშეწყობა, შესაბამის ინციდენტებზე რეაგირება და შემდგომი მონიტორინგი;
2.2. დაწესებულების კომპიუტერული ტექნიკის დიაგნოსტიკა/მხარდაჭერა (ოპერაციული სისტემისა და სხვა საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალირება, პრობლემების იდენტიფიცერება და აღმოფხვრა, პერიფერიული აპარატურის კომპიუტერებთან მიერთება და გამართვა, სისტემის ბეკაპირება და აღდგენა);
2.3. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულების ადმინისტრაციისათვის კონსულტაციის გაწევა ტექნიკის (კომპიუტერის სათადარიგო/სახარჯო ნაწილების, პერიფერიული მოწყობილობების და სხვ.) შესყიდვასთან დაკავშირებით;
2.4. უზრუნველყოს დამკვეთთან ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტის გამოცხადება საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ კვირაში ორჯერ.
<u>3. დამკვეთი უფლებამოსილია:</u>

3.1. მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

<u>4. შემსრულებელი უფლებამოსილია:</u>

მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

1.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა;

1.2. მხარეთა შეთანხმება;

1.3. მხარეების ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე;

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება

1. ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმების საფუძველზე.

2. მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების შესახებ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის წარმოშობილი დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთშეთანხმებით. ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:	შემსრულებელი:
სსიპ ---[illegible]---	სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა მის.: ქ. თბილისი ფანჯიკიძის ქ.1ა ს/კ 205300048; ბანკი: ს.ს. საქართველოს ბანკის ც/ფ ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE71BG0000000524958100
საჯარო სკოლა	
მის: [illegible] ს/კ 211351605	
დირექტორი [illegible] (ხელმოწერა)	ფინანსური და მატერიალ[illegible]ების სამსახურის უფროსი თამარ კუბიაშვილი (ხელმოწერა)